„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების გადაცემების საექსპერტო შეფასება

შეფასების დოკუმენტის შინაარსი

1. მეთოდოლოგია

2. შეფასებული გადაცემები

- მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ 21:00 საათზე
- „აქტუალური თემა“ მაკა ცინცაძესთან
- „კვირის ინტერვიუ“ ირაკლი აბსანძესთან
- „42-ე პარალელი“ - გიორგი გვიმრაძე
- „ახალი კვირა“ - იმედა დარსალია
- „მოამბე დღის თემა“ - თამთა სანიკიძე
- „საპრეზიდენტო არჩევნები-2018“
- „რეალური სივრცე“ - ნინო ზაუტაშვილი

3. დასკვნა

შეფასების პერიოდი: 2018 წლის 13 ნოემბერი - 2018 წლის 17 დეკემბერი

მეთოდოლოგია

შეფასება ჩატარდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოწოდებული ინდიკატორების მიხედვით. გარდა ამისა, გადაცემები შეფასებული იყო შემდეგი დამატებითი კრიტერიუმებით: გაშუქების კონტექსტი (პოზიტიური/ნეგატიური/ნეიტრალური), გენდერული ბალანსის დაცვა და გენდერული მგრძნობელობა, სიძულვილის ენის, ქსენოფობიის, ჰომოფობიის, რელიგიური, ეთნიკური ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გამოვლინებით, ასევე შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების პრობლემატიკის გაშუქების სტანდარტებთან შესაბამისობით.

შეფასდა გადაცემის წამყვანთა სტილი, ვიზუალური და ვერბალური სხეულის ენა.

ვინაიდან შეფასების ავტორს საშუალება ჰქონდა საზოგადოებრივი მაუწყებლის კონკრეტული გადაცემების ანალოგიური შეფასება გასულ წელსაც გაეკეთებინა, ამ წლის შეფასება იძლევა ერთგვარი შედარებითი ანალიზის საფუძველს.

შესავალი

მთლიანობაში პირველი არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების სარედაქციო პოლიტიკა დაბალანსებულია და მეტწილად ჟურნალისტური სტანდარტები დაცულია. თუმცა ტელეარხი ხელისუფლების მიმართ მაინც უფრო ლოიალურია, ვიდრე კრიტიკული. მცირე გამონაკლისის გარდა, ნაკლებად არის ინფორმაცია ხელისუფლების და მის წარმომადგენელთა ნაკლოვანებებზე.

მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“

მონიტორინგის პროცესში გამოკვლეულ იქნა 18 „მოამბე“; პერიოდი - 2018 წლის 14 ნოემბერი-17 დეკემბერი

ისე როგორც წინა წელს, გადაცემის ანტურაჟი, სცენა და წაყვანის სტილი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა. „მოამბის“ წამყვანების მდგომარე პოზიცია გამოარჩევს მას სხვა საინფორმაციო გადაცემებისგან, სადაც წამყვანები სხედან. თუმცა კარგი იქნებოდა ამის მიმართ აუდიტორიის დამოკიდებულების ცოდნაც.

მონიტორინგის პერიოდში „მოამბეში“ გაშუქდა პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა და გაშუქების პროცესში დიდწილად მოხერხდა ბალანსის დაცვა. გაშუქება მეტწილად შეესაბამებოდა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს.

ამავე დროს, იგრძნობოდა გადმოცემის სიღრმისეულობის ერთგვარი დეფიციტი, ასევე ტელეარხის რეიტინგისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტის - ექსკლუზიური მასალების სიმწირე.

მნიშვნელოვანია გადაცემის „ქუდი“ - სიუჟეტების ანონსები, მათი რიგითობა და პრიორიტეტულობა. რატომღაც ის თემები, რომლებიც მაღალი ალბათობით აუდიტორიის ყურადღებას და ინტერესს უფრო მიიზიდავდა და დაიჭერდა, გადაცემის შუა ნაწილშია მოქცეული. საინტერესოა, რა პრინციპით ირჩევა პირველი „ნიუსი“, რომლითაც იხსნება „მოამბე“. მაგ. 26 ნოემბრის გადაცემაში პირველ ნიუსად უკრაინის მოვლენები (ქერჩის ინციდენტი) გავიდა და მთელი 10 წუთი დაეთმო, რაც მაყურებელს სავარაუდოდ სხვა არხებისკენ გადაამისამართებდა, რადგანაც ინტერესი ამ თემის მიმართ ადგილობრივ ფართო აუდიტორიაში მინიმალურია. იგივე მოხდა, მაგალითად, 13 დეკემბრის „მოამბეშიც", რომლის N1 ნიუსი ჯერ კიდევ გადაწყვეტის პროცესში მყოფი საპენსიო რეფორმა იყო.

დაკვირვების პროცესში გამოვლინდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების და მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდი სავარაუდოდ, გავლენას ახდენდა გაშუქების შინაარსსა და პათოსზე იმ კუთხით, რომ საინფორმაციო გადაცემებში შესამჩნევი იყო ხელისუფლებისადმი ნაკლებ კრიტიკული დამოკიდებულება. ეს განსაკუთრებით

ეხებოდა გაშუქების რაკურსს და აქცენტების დასმას იმ გადაცემებში, რომლებიც ეხებოდა უშუალოდ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულ მოვლენებს.

მაშინ როდესაც გადაცემის არაპოლიტიკური სიუჟეტები ძირითადად იყო დაბალანსებული, არჩევნებთან დაკავშირებულ ცალკეულ სიუჟეტებში ბალანსი იყო დარღვეული მმართველი პარტიის სასარგებლოდ. არჩევნების დასრულების შემდეგაც, საარჩევნო თემატიკას ეთმობოდა საკმაოდ დიდი დრო.

იყო მომენტები, რომლებიც საზოგადოებრივ მაუწყებელს გამოარჩევდა სხვა ტელევიზიებისგან. მაგალითად, ახლად არჩეული პრეზიდენტის, ზურაბიშვილის მხრიდან მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონკორდატთან დამოკიდებულების თემის წამოწევა. ერთი მხრივ, ეს ემსახურებოდა მოსახლეობის ინფორმირებას ამ აქტუალურ საკითხზე, მეორე მხრივ, სავარაუდოდ ზურაბიშვილის იმიჯის გაკეთილშობილებას, კონკორდატთან მიმართებაში მისი ადრეული განცხადებებიდან გამომდინარე. კარგი იქნებოდა, თუ დამოუკიდებელ ექსპერტებს ან თეოლოგებსაც დაეთმობოდათ ეთერი ასეთი მგრძნობიარე თემის გაშუქებისას.

ტელეარხის საინტერესო მიგნება იყო საქართველოს პრეზიდენტების მიერ მიღებული ხმების რეტროსპექტიული ანალიზი, რაც არც ერთ სხვა ტელეარხს იმ პერიოდში არ გაუკეთებია.

ზოგადად, ორივე კანდიდატის კამპანიას ეთმობოდა დაახლოებით თანაბარი დრო, ხოლო გაშუქებისას შინაარსი და ტონი იყო ძირითადად ნეიტრალური. თუმცა რამდენიმე სიუჟეტში, წამყვანების ნარატივში ფაქტების გადმოცემას ზოგჯერ ანაცვლებდა შეფასებითი მსჯელობები და განცხადებები, რაც ძირითადად ემსახურებოდა აუდიტორიაში ოპონენტი კანდიდატის და მისი მხარდამჭერების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გაღვივებას, ხოლო ხელისუფლების და მისი კანდიდატის პოზიტიურ კონტექსტში წარმოჩენას.

ასე მაგალითად, 21 ნოემბრის მთავარ გამოშვებაში საარჩევნო გარემოზე საუბრისას არაადეკვატურად დიდი დრო დაეთმო 2012 წლის ე.წ. „ციხის კადრების“ დემონსტრირებას, ისე, რომ მეორე მხარეს არ მისცემია საპასუხო კომენტარის ან განმარტების საშუალება. ეს ცალმხრივობა მაყურებელს მაღალი ალბათობით შეუქმნიდა შესაბამის განწყობებს. 22 ნოემბერს, გადაცემა დაიწყო და 10 წუთზე მეტი გრძელდებოდა ჯერ „ფოტოგრაფების საქმით“, შემდეგ კი ვალერი გელაშვილის ცემის საქმეზე სასამართლოს განაჩენით, გაშუქების კონტექსტი იყო უფრო ნეგატიური, ვიდრე ნეიტრალური, დარღვეული იყო ბალანსი, რადგანაც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარები არ ჩანდა.

გადაცემებში საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობოდა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ თუ დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. სიუჟეტებში

აქტიურად ჩანდნენ მმართველი პარტიის ლიდერები. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამას არ ჰქონდა ინტენსიური ხასიათი.

26 ნოემბრის სიუჟეტი (13:19-13:34) ეძღვნებოდა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ საერთაშორისო მისიების ინფორმირებას საპრეზიდენტო არჩევნების გარემოზე, გადაცემაში აქცენტირება მოხდა ხელისუფლების განცხადებებზე ოპონენტთა მხრიდან „რევოლუციური სცენარის“ შესახებ, ნახსენები იყვნენ ოპოზიციის ლიდერები, თუმცა სიუჟეტში არ ჩანდა ოპოზიციის წარმომადგენელთა კომენტარები, რის შედეგადაც დაირღვა ბალანსი და ირიბად მოხდა ოპოზიციის სტიგმატიზაცია.

კიდევ ერთ რეპორტაჟში ნათქვამი იყო, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში ჩასულ ექსპრეზიდენტის ძმას, დავით სააკაშვილს ადგილობრივი მოსახლეობა დაუპირისპირდა და სოფლის დატოვება მოსთხოვა. ითქვა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები 400-ლარიანი პენსიის დანიშვნის აბსურდული დაპირებით ხალხის შეცდომაში შეყვანას და ამ გზით ხმების მოპოვებას ცდილობენ.

ციტატა: „ველისციხის მცხოვრებთა განცხადებით, დავით სააკაშვილი ხშირად ჩადის სოფელში და ცდილობს, ხალხი ერთმანეთს დაუპირისპიროს.“ სიუჟეტის მთავარი ნაკლი იყო ის, რომ შემოიფარგლა მხოლოდ წამყვანის მონაყოლით. არ ყოფილა არც ადგილიდან რეპორტაჟი, არც მხარეების კომენტარი. შესაბამისად, დაირღვა ჟურნალისტური სტანდარტი.

არჩევნების მეორე ტურის მომდევნო დღეს შედეგების გაშუქება ძირითადად დადებითად შეიძლება შეფასდეს ბალანსის დაცვის კუთხით და იმის გამოც, რომ ოპოზიციური კანდიდატის წარმომადგენლებს დაეთმო საკმარისი საეთერო დრო, რათა მაყურებელს გაეგო მათი პოზიცია. თუმცა, გაშუქება მაინც უკეთესის სურვილს ტოვებდა. მაგალითად, 29 ნოემბრის გადაცემა დაიწყო ინფორმაციით, რომ ცესკოს წინასწარი შედეგებით სალომე ზურაბიშვილი ქვეყნის მეხუთე პრეზიდენტია. ხომ არ იქნებოდა უფრო უპრიანი, ნათქვამის ვიზუალური მასალით გასამყარებლად იქვე ეჩვენებინათ ინფოგრაფიკა კანდიდატთა მაჩვენებლებით. ინფოგრაფიკა მხოლოდ სიუჟეტის ბოლოსკენ (6:55 და 07:17) აჩვენეს. წამყვანის განცხადება: „20% სხვაობა მმართველ გუნდს იმის თქმის საფუძველს აძლევს, რომ არჩევნების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ არსებობს“ (01:18), იყო შეფასებითი და მიუთითებს ჟურნალისტის პოზიციასა და პირად დამოკიდებულებაზე, რადგანაც არჩევნების ლეგიტიმურობა დგინდება არა პროცენტების სხვაობით, არამედ საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელთა დასკვნების შედეგად. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემის ბოლოსკენ (31:22-38:22) ნაჩვენები იქნა საერთაშორისო დამკვირვებელთა წინასწარი შეფასებები. ასევე შეფასებითი ხასიათის იყო განცხადება: „საზოგადოებრივი კომუნიკაციის სპეციალისტები ოპოზიციის განცხადებებს ამომრჩევლის შეურაცხყოფად მიიჩნევენ

და განცხადების ავტორებს რიტორიკის შეცვლას ურჩევენ“ (28:18). წამყვანს სავსებით შეეძლო გამოეყენებინა ნეიტრალური ფრაზა მაგ. „ვნახოთ როგორ აფასებენ ამას საზოგადოებრივი კომუნიკაციის სპეციალისტები....“

შესაბამისი ინფოგრაფიკით გაფორმებული ე.წ. „კარტოფილით ამომრჩევლის მოსყიდვის“ თემის ირონიულ სტილში გაშუქება (28:46) ნამდვილად არ შეესაბამებოდა გაშუქების ნეიტრალურ ტონს.

არჩევნების შემდგომ დღეებშიც გრძელდებოდა ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის პოზიტიურ, ხოლო ოპოზიციის ნეგატიურ ჭრილში წარმოჩენა. 29 ნოემბერს სიუჟეტი „უფასო მედიკამენტები“ მიმართული იყო იმის ჩვენებაზე, თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო და მმართველი პარტია სოციალურად დაუცველებზე. ინტერვიუ ჩამოერთვა მხოლოდ ჯანდაცვის მინისტრს და არ ყოფილა დამოუკიდებელი წყაროს შეფასება მედიკამენტების გაიაფების სოციალურ და ფისკალურ ეფექტზე. იგივე ეხება C-ჰეპატიტის შესახებ სიუჟეტს, სადაც ასევე არ ისმოდა ალტერნატიული აზრი.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები აჩვენებს, რომ „ახალი ამბების“ გადაცემაში, რომელიც მხოლოდ საინფორმაციო დატვირთვას უნდა ატარებდეს, ეს პრინციპი რამდენჯერმე დაირღვა.

ერთგვარი „მუნდირის დაცვის“ მცდელობის განცდას ტოვებდა „მოამბის“ საკმაოდ ვრცელი სიუჟეტი (39:16-39:54), სადაც საზოგადოებრივი მაუწყებელი ეუთოსგან დამატებით დეტალებს მოითხოვდა მაუწყებლის მიერ არჩევნების გაშუქების კრიტიკული შეფასების გამო. ბალანსის დაცვის მიზნით, საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელთან ერთად ეთერი უნდა დათმობოდა დამოუკიდებელ მედიაექსპერტსაც, რომელიც თავის შეფასებას წარმოადგენდა.

ყურადღებას იმსახურებს ის, რომ მონიტორინგის პერიოდში ძალიან ცოტა იყო სიუჟეტები მოწყვლადი სოციალური ჯგუფების, მათ შორის შშმ პირების შესახებ.

ორ სიუჟეტში, სადაც შშმ პირების საჭიროებებზე საჯარო დაწესებულებების მორგებაზე იყო საუბარი, დარღვეული იყო გენდერული ბალანსი, რადგანაც შშმ ქალებიც არსებობენ და მათ გენდერ-სპეციფიკური პრობლემები აქვთ. გადაცემაში კი მხოლოდ შშმ მამაკაცები აჩვენეს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გამოყვანილი იყვნენ, როგორც ქველმოქმედების სუბიექტები ან დანახული იყვნენ სამედიცინო პარადიგმიდან. სასურველია ჟურნალისტებმა შშმ პირებზე სიუჟეტების მომზადებისას ყურადღება გაამახვილონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე, როგორც საზოგადოების სრულფასოვან და თანასწორ წევრზე, მეტი ისაუბრონ ამ ჯგუფის სოციალური ინტეგრაციის პრობლემებზე, ხაზი გაესვას სოციალურ გარემოში მათი ინტეგრაციის თანაბარ შესაძლებლობას, მუდმივად შეახსენოს

საზოგადოებას შშმ პირების მიმართ სახელმწიფოს ვალდებულებებზე და მათ შესრულებაზე, ასევე საზოგადოების პასუხისმგებლობაზე.

რამდენიმე სიუჟეტს აკლია სიღრმისეულობა. მაგ. 13 დეკემბრის „მოამბის“ N1 ნიუსად გაშვებულ სიუჟეტს დაგროვებითი საპენსიო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მაყურებელი ბოლომდე ვერ გაიგებდა, თუ როგორ მოუწევს მას ამ სისტემაში ჩართვა, რა სარგებელია და რა რისკები, რა კატეგორიის ხალხს მოუწევს ხელფასიდან დაქვითვა და ა.შ. ინფორმაცია იყო ბევრი, მაგრამ ზოგადი. კარგი იქნებოდა ვიზუალური მასალით (მაგ. ინფოგრაფიკით) ეჩვენებინათ ეს ყოველივე.

კიდევ ერთ სიუჟეტში, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტს და მის მიღებას ეხებოდა, დასახელებული იყო მხოლოდ ბიუჯეტის მთლიანი ოდენობა 13,1 მლრდ და მეტი არაფერი. შეიძლებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო ბიუჯეტის პრიორიტეტებზეც, რაც არ გაკეთებულა, არადა აუდიტორიისათვის ნამდვილად საინტერესო იქნებოდა.

სიღრმისეულობა აკლდა 13 დეკემბრის „მოამბის“ სიუჟეტს საკეისრო კვეთასა და მისი ჩატარების რისკებზე, დასაწყისშივე არ ითქვა, რომ საკეისრო კვეთების რაოდენობა საქართველოში სამჯერ აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ სტანდარტს. არ იყო მოყვანილი სტატისტიკა, საკეისრო კვეთის რამდენი შემთხვევა დასრულდა სერიოზული გართულებით. უფრო დეტალურად შეიძლებოდა განმარტებულიყო საკეისრო კვეთის რისკები მომავალი ორსულობისთვის. ინტერვიუ ჩამოერთვა მხოლოდ ერთი კლინიკის წარმომადგენელს, არ იყო გრაფიკულად ნაჩვენები საკეისრო კვეთების მიმდინარე და წინა წლების სტატისტიკა და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ წინა წელთან შედარებით, „მოამბეს“, როგორც გადაცემას, რაიმე თვისობრივი პროგრესი არ განუცდია, თუმცა არც გაუარესების ნიშნებია სახეზე. შესაბამისად, ყველა ის პრობლემა, რაც აღნიშნული იყო წინა ანგარიშში და ძირითადად გამოწვეული „ადამიანური ფაქტორით,“ დარჩა და საჭიროებს მოგვარებას.

ასევე პრობლემად დარჩა მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში „მოამბეში“ თემების/სიუჟეტების პრიორიტეტულობის და რიგითობის განსაზღვრა, ინფორმაციის გადმოცემის სტილი, სიზუსტე და სისრულე. დარჩა იმის განცდა, რომ პოლიტიკურად რთულ პერიოდებში საზოგადოებრივ მაუწყებელს უჭირს ნეიტრალიტეტის დაცვა. კარგი იქნება, თუ „მოამბის“ გადაცემებში უფრო მეტი დრო დაეთმობა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პრობლემატიკას, ევროპასთან ერთად „ჰიბრიდული ომის“ გამოწვევებთან გამკლავებას. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებისათვის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის პრიორიტეტულობა სულ უფრო ქვეითდება, რეკომენდებული მოიმატოს ამ თემაზე

სიუჟეტების რაოდენობამ. ასევე მეტი ინფორმაცია არის საჭირო დასაქმების და პროფესიული გადამზადების შესაძლებლობებზე.

„აქტუალური თემა“ მაკა ცინცაძესთან

მონიტორინგის პროცესში შეფასდა ოთხი გადაცემა - 16, 23 ნოემბერი და 7, 14 დეკემბერი.

უნდა ითქვას, რომ გადაცემას გამოარჩევს ძალიან კარგად მომზადებული „ქუდი“. ამით ის სჯობს ყველა სხვა ტოქშოუს და ყოველკვირეულ გადაცემას.

გადაცემებში მეტ-ნაკლებად წარმოდგენილი იყო პოლიტიკური შეხედულებების მრავალფეროვნება და იყო მცდელობა საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე ძირითადი პოლიტიკური ძალების დაბალანსებულად გაშუქების. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური კარნახობდა თემების შერჩევას.

ზოგჯერ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ წამყვანი ბოლომდე კარგად ვერ იყო გარკვეული ტოქშოუსთვის შერჩეულ თემატიკაში. პრობლემად რჩებოდა ბალანსის დაცვა რესპონდენტებს შორის და დროის გადანაწილება მათზე. წამყვანი დასაშვებზე ხშირად იყურებოდა ფურცლებში კითხვების დასმის დროს.

ცალკეული გადაცემების დროს ჩნდებოდა განცდა, რომ წამყვანი არ იყო ბოლომდე ნეიტრალური. მაგალითად, გადაცემაში „რა გზას ირჩევს ამომრჩეველი“, ის ცდილობდა რესპონდენტი გუბაზ სანიკიძე დაეკავშირებინა „ნაცმოძრაობასთან“. შემდეგ ის აჰყვა რესპონდენტს და გადაცდა მთავარ თემას. გადაცემის დასაწყისში მისცა საშუალება მას ესაუბრა პარალელურ თემაზე და შემდეგ დაუსვა კითხვა მთავარ თემაზე, რაზედაც იყო გადაცემა. აშკარად იგრძნობოდა წამყვანის პროსახელისუფლო განწყობა. ის ხელისუფლების წარმომადგენელს დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძეს არ უსვამდა მწვავე კითხვებს, აძლევდა საშუალებას გრძელი მონოლოგის, რომელიც იყო პარტიის პოზიციის პროპაგანდა და ნაკლებად საინტერესო მაყურებლისათვის.

იყო არარელევანტური კითხვები რესპონდენტებთან. მაგ. სვიმონ მასხარაშვილს ჰკითხა: რა განწყობებია „ნაცმოძრაობის“ ირგვლივ შეკრებილ ერთიან ოპოზიციაში? რაზედაც მიიღო რესპონდენტის ლოგიკური პასუხი, რომ ეს კითხვა უნდა დაესვა თავად ოპოზიციისათვის.

რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ წამყვანი კარგავდა გადაცემის სადავეებს და უჭირდა მათი დაბრუნება.

მეტ-ნაკლებად საინტერესო გამოვიდა 14 დეკემბრის გადაცემა: „ქართული პოლიტიკა და ბრძოლა წესების გარეშე, დაპირისპირებები პარლამენტში და პარლამენტს გარეთ“. სწორად იყვნენ შერჩეული სტუმრები, დაცული იყო ბალანსი, მათ შორის გენდერული და თემა იყო აქტუალური და საზოგადოებისათვის დიდი ალბათობით საინტერესო. სამწუხაროდ, პოლიტიკური კულტურის ცნება იქნა დავიწროებული სიძულვილის ენის გამოყენებამდე და არ მოხდა მისი უფრო ფართო კონტექსტში განხილვა. სიძულვილის ენის გამოვლინების ირიბი ასოცირება ლიბერალური ღირებულებების მატარებლებთან და ამაზე პედალირება, არ იყო მთლად სწორი მიდგომა წამყვანის მხრიდან.

შეიმჩნეოდა სიღრმისეულობის დეფიციტი, ეს ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმით, რომ გადაცემის პროცესში (37:43 წთ) წამყვანმა ისევ დაკარგა სადავეები, ცალკეული რესპონდენტები ურთიერთთავდასხმებზე გადავიდნენ და თემის სათანადოდ გაშლა ვერ მოხერხდა, მონაწილეთა მოსაზრებები გახდა ფრაგმენტული და აუდიტორიისათვის გართულდა მათი ნათქვამიდან აზრის გამოტანა.

რეკომენდაციები

· წამყვანმა უფრო საფუძვლიანად შეისწავლოს თემა, რომელზედაც აპირებს გადაცემის გაკეთებას

· წამყვანმა უფრო დინამიურად წაიყვანოს გადაცემა, სხეულის ენაში მეტი სილაღე და მოქნილობა. ხშირად არ იხედებოდეს ქაღალდებში, რაც ეკრანზე ჩანს და არც თუ დადებით შთაბეჭდილებას ახდენს

· წინასწარი კონსულტაციები სხვა ტოქშოუებთან, რომ არ მოხდეს თემების დუბლირება

· დროის მენეჯმენტი ტოქშოუს პროცესში, რომ მოხდეს თემის ამომწურავად განხილვა და დრო არ დაიხარჯოს ფუჭ სიტყვიერ ფარიკაობაზე და ურთიერთთავდასხმებზე.

· კარგი იქნება, თუ გადაცემის თემატიკაში მოხვდება ისეთი საკითხები, რომლებიც უკავშირდება სულიერებას, ახალ და ტრადიციულ ინსტიტუტებს და ცხოვრების ნორმებს, მეტი იქნება მსჯელობა ევროატლანტიკურ ინტეგრაციის გზაზე არსებულ გამოწვევებზე ფართო კონტექსტში, ასევე „ჰიბრიდული ომის“ გამოწვევებზე ამ კუთხით.

„კვირის ინტერვიუ“ ირაკლი აბსანძესთან

ერთგვარი „ჰარდ-თოქის“ პრინციპებზე აგებული გადაცემა წინა წელთან შედარებით, პრინციპულად არ შეცვლილა. შეფასების პერიოდში, საპრეზიდენტო არჩევნებიდან გამომდინარე, მისი წყვეტა მოხდა.

6 დეკემბრის გადაცემაში (სტუმარი: თეა წულუკიანი) წამყვანს შეეძლო უფრო ჩაღრმავებული და კრიტიკული კითხვები დაესვა თუნდაც ვანო მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით, ასევე სასამართლოს და იუსტიციის საბჭოს რეფორმასთან დაკავშირებით. არც თუ პროფესიულად გამოიყურებოდა ნონა წოწორიას წარმოჩენა ფიგურად, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

უცნაური იყო ასევე ვენეციის კომისიის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება, თითქოს ის არ სარგებლობს ქართულ საზოგადოებაში კარგი რეპუტაციით. ჟურნალისტური ეთიკის კუთხით არაკორექტული იყო ტერმინის „ჩინჩალაძე-გვრიტიშვილის კლანი“ გამოყენება. ცოტა არ იყოს, ზედმეტი დრო დაეთმო გოჩა ლორთქიფანიძის ჰააგის სასამართლოში დანიშვნის საკითხის და მისი ფუნქციების განხილვას. მთლიანობაში, გადაცემა საკმაოდ ინფორმატიული გამოვიდა. მაგალითად, მოსახლეობამ გაიგო, რომ სტრასბურგის სასამართლოში არ ყოფილა საპრეზიდენტო არჩევნებზე სარჩელის განხილვის პრეცედენტი.

12 დეკემბრის გადაცემის დასაწყისშივე (სტუმარი - ელენე ხოშტარია) წამყვანის განცხადება აქცენტით: „ნაციონალური მოძრაობა და მის ირგვლივ შეკრებილი მცირე პარტიათა ერთობა“ ოპოზიციის დაკნინების მცდელობის განცდას ტოვებდა. შემდგომში მისი რემარკები ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ის ცდილობდა ხელისუფლების ფარულ ადვოკატირებას. სავარაუდოდ ამას შეამჩნევდა სხვა მაყურებელიც და ექნებოდა შესაბამისი აზრი ამაზე.

„ჰარდ-თოქის“ პრინციპი გულისხმობს, რომ რესპონდენტისგან ჟურნალისტური მეთოდებით მიიღონ სასურველი პასუხი. ამ ინტერვიუში რესპონდენტმა (ელენე ხოშტარია) აარიდა თავი პასუხს კითხვაზე: არის თუ არა ზურაბიშვილი არჩეული პრეზიდენტი? ხოლო წამყვანს განმეორებით არ უცდია მისგან ეს პასუხი მიეღო, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე.

ზოგადად, ეს არის „ნიშური“ გადაცემა, რომელსაც ჰყავს მაყურებელთა შეზღუდული სეგმენტი და ის დარჩება ორიენტირებული ამ ნიშაზე, ამიტომაც ფორმატის შეცვლა ამ ეტაპზე რთული იქნება.

„42-ე პარალელი“ - გიორგი გვიმრაძე

მონიტორინგის პროცესში საკვლევი გადაცემების საერთო რაოდენობამ 5 (ხუთი) შეადგინა (17, 24 ნოემბერი, 1,8,15 დეკემბერი).

გადაცემა ეთერში გადის შაბათს 21:30 საათზე. ეს ის დროა, როდესაც მაყურებელთა მხოლოდ გარკვეულ და ძალიან მცირე სეგმენტს, ვისაც ინტერესი აქვს საერთაშორისო პრობლემატიკის მიმართ, შეიძლება გაუჩნდეს ამ ტიპის „ნიშური“ გადაცემის ყურების სურვილი. უქმე დღეებში საღამოს ტელეაუდიტორია სავარაუდოდ უფრო მსუბუქი სტილის გასართობ გადაცემებს ეტანება.

გადაცემის „ქუდი“ ვიზუალური ეფექტის კუთხით კარგად არის მოფიქრებული.

უშუალოდ გადაცემის დროს უკანა ხედი იყო „ნიუსრუმი“, სადაც ზოგჯერ მიდი-მოდიან ადამიანები, მათ შორის პალტოში გამოწყობილი, რაც არ ტოვებს მაინცდამაინც კარგ შთაბეჭდილებას.

გადაცემის სხვადასხვა სიუჟეტებში კომენტატორთა ლექსიკაში შეიმჩნეოდა ბარბარიზმების მოძალება (მაგ. „გრადუალური რევიზია“, „დემოკრატიული ტრანზიცია“ და სხვა). ასევე ზოგჯერ თვალშისაცემი იყო წამყვანთა ძალიან არაოფიციალური დრესკოდი, რაც ასეთი სერიოზული გადაცემისათვის ალბათ არათავსებადია.

ზოგ სიუჟეტში წყაროებად ტვიტერში დაწერილი კომენტარების მოხმობის ნაცვლად, ხომ არ აჯობებდა, ავტორიტეტული გამოცემების ექსპერტულ მოსაზრებებზე დაყრდნობა?

სიუჟეტის ავტორის განცხადებას - „ევროპული არმია ვერ იქნება ნატო-ს საპირწონე ძალა“, მოუხდებოდა ინფოგრაფიკა, რას წარმოადგენს ამჟამად ნატოს სამხედრო ძალები და როგორი შეიძლება იყოს ევროპული არმია. ეს უთუოდ დააინტერესებდა მაყურებელს და მომგებიან ინფორმაციულ და ვიზუალურ ეფექტსაც შექმნიდა.

ქერჩის ინციდენტის ნამეტნავად მიბმა უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნებთან, კარგად თანხვდება რუსულ „ნარატივს“. ამავე დროს ნაკლები მსჯელობა იმაზე, თუ რა შესაძლო სცენარები განვითარდება უკრაინასა და რეგიონში ამ ინციდენტის შემდეგ, როგორ აისახება ისინი საქართველოზე პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სამხედრო კუთხით, უფრო საინტერესო იქნებოდა მაყურებლისთვის, რომელსაც უკრაინის ამბები საკუთარი ქვეყნის ინტერესების კონტექსტში აინტერესებს. კარგი იქნებოდა, უკრაინაში მიმდინარე პროცესების ავტორისეული ანალიზი მაყურებლისათვის მიწოდებული ყოფილიყო უფრო საინტერესო ვიზუალური და ვერბალური გზით (მაგ. უკრაინის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების გრაფიკული სახით ჩვენება და ა.შ.).

საკმაოდ საინტერესო იყო რეპორტაჟი „ყვითელ ჟილეტებზე," რომელიც ყველა მხრიდან ღრმად და ყოვლისმომცველად იყო გაანალიზებული.

რეპორტაჟში გაზსადენ თურქულ ნაკადზე კარგი იქნებოდა გაანალიზებულიყო, როგორ აისახება ეს საქართველოს როგორც ერთ-ერთ ტრანზიტულ ენერგოდერეფნის პერსპექტივებზე, რას უქადის პოლიტიკურად, ეკონომიკურად.

გაუგებარია, რა კრიტერიუმებით შეირჩა არგენტინის პრეზიდენტის პრობლემები გადაცემის თემად? არსებობს კი ამ საკითხისადმი აუდიტორიის ინტერესი? თუ ასეა, მაშინ სიუჟეტში ისიც უნდა თქმულიყო, რას ასწავლის ქართულ საზოგადოებას არგენტინის ექსპრეზიდენტ კირშნერის მაგალითი.

სიუჟეტში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაზე, გაუგებარია, ავტორისთვის უკანა ფონად რატომ შეირჩა საზოგადოებრივი მაუწყებლის საკმაოდ მოძველებული, საბჭოთადროინდელი გაურემონტებელი დერეფანი, სადაც წამყვანის უკან მოჩანს საბჭოთა რელიქტი - ფირნიში რუსული წარწერით (12:58 და 15:24 წთ-ზე). ვფიქრობ, ეს სერიოზული ლაფსუსია. გარდა ამისა, თხრობის ცოტა არ იყოს მონოტონური სტილი სავარაუდოდ მაყურებელს ეკრანთან ვერ დაიჭერს.

15 დეკემბრის გადაცემაში გლობალური მიგრაციის კომპაქტზე საუბრისას, წამყვანებმა საერთოდ გვერდი აუარეს იმ ფაქტს, რომ ამ კომპაქტს საქართველოც მიუერთდა და ამან საზოგადოებაში ვნებათაღელვა და მიგრანტების ახალი ტალღის შემოდინების რისკზე კითხვები გააჩინა. გადაცემა უბრალოდ ვალდებული იყო, ამასთან დაკავშირებით კვალიფიციური კომენტარი შეეთავაზებინა აუდიტორიისათვის.

კარგი იქნება, თუ გადაცემა დროდადრო მოწვეულ ექსპერტებსაც დაუთმობს ეთერს და ერთგვარი ტელედისკუსიის სახეს მისცემს კონკრეტულ თემაზე მსჯელობას.

„ახალი კვირა" - იმედა დარსალია

მონიტორინგის პროცესში საკვლევი გადაცემების საერთო რაოდენობამ 4 (ოთხი) შეადგინა. 25 ნოემბერი, 2 დეკემბერი, 9 დეკემბერი, 16 დეკემბერი.

მკვლევარისთვის უცნობია, გადაცემის რეიტინგის და ყურებადობის მაჩვენებელი, რომელზედაც საზოგადოებრივი მაუწყებელი ინფორმაციას ფლობს. შეფასება ეფუძნება მხოლოდ საექსპერტო დავალებაში მოცემულ კრიტერიუმებთან შესაბამისობას.

გადაცემები ძირითადად ასახავდა ხედვებისა და მოსაზრებების, პოლიტიკური იდეოლოგიების მრავალფეროვნებას და, შეიძლება ითქვას, რომ სიუჟეტების უმრავლესობაში ბალანსი დაცული იყო. მოყვანილი იყო რამდენიმე წყარო, წარმოდგენილი იყო საპირისპირო მოსაზრებები.

გადაცემა ხელს უწყობდა ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პოპულარიზაციას. მაგ. სიუჟეტი გზა ნატოსკენ (ავტორი - გიორგი ცხვიტავა). თუმცა სიუჟეტში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ქართული ოფიციოზის აზრი და არ ჩანდა ალტერნატიული მოსაზრება, მაგ. დამოუკიდებელი ექსპერტების.

თუ რამდენად ობიექტური და მიუკერძოებელია გადაცემა და რამდენად დაბალანსებულად აშუქებს ძირითად პოლიტიკურ ძალებს, ამ კუთხით არის რამდენიმე შენიშვნა.

მაგალითად, 2 დეკემბრის გადაცემა დაიწყო მჭახე განაცხადით „ოპოზიციის ულტიმატუმი ხელისუფლებას და 16 დეკემბრამდე მიცემული ვადა“. ეს შეიძლება მივიჩნიოთ როგორც საზოგადოების თვალში ოპოზიციის დესტრუქციულ ძალად წარმოჩენისა და მისი სტიგმატიზაციის მცდელობად (00:08). ასევე ოპოზიციის სტიგმატიზაციას ემსახურებოდა სააკაშვილის კიევური კადრების ჩვენება (სახურავზე ასვლა, იქიდან ჩამოყვანა და დაპატიმრება). თუმცა, გადაცემამ დაიცვა ბალანსი და სააკაშვილის გამოსვლებსა და მიმართვებს დაეთმო საკმარისი დრო, რათა საზოგადოებას გაეგო მათი პოზიცია და მიმართვების შინაარსი.

სიუჟეტში „რისთვის ემზადება ოპოზიცია“ (ავტორი - გიორგი მანჯავიძე), 2 დეკემბრის გადაცემის სიუჟეტში - „გამაფრთხილებელი მანდატი“ (ავტორი - თამთა ჯანაძე) გამოყენებული ტერმინი „ყბადაღებული კოჰაბიტაცია“ აშკარად წინააღმდეგობაში მოდის გადაცემის ნეიტრალური გაშუქების პრინციპთან და ავტორისა და რედაქციის პოლიტიკურ პოზიციას ააშკარავებს, რაც მაყურებელში ქმნის შესაბამის დამოკიდებულებას საზოგადოებრივი მაუწყებლის მიუკერძოებლობაზე.

25 ნოემბრის გადაცემაში სიუჟეტი, რომელიც აშუქებდა „ფოტოგრაფების საქმეს“ და წამყვანის ფრაზა „ეს იყო წინა ხელისუფლების დროს ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული საქმე, რომლის დროსაც ჩვენი კოლეგები ჯაშუშობაზე შეთითხნილი მძიმე ბრალდებით დააკავეს“, უკვე შეიცავდა შეფასებით მსჯელობას (სიტყვა „შეთითხნილი“) და ამჟღავნებდა წამყვანის სუბიექტურ დამოკიდებულებას საკითხისადმი. ასევე 25 ნოემბრის გადაცემაში სიუჟეტები დაეთმო მალხაზ მაჩალიკაშვილის მიტინგს და „პატრიოტთა ალიანსის“ აქციას. გაშუქება იყო აშკარად არათანაბარი. მაშინ როდესაც „პატრიოტთა ალიანსის“ აქცია დეტალურად გაშუქდა, მონაწილეთა ინტერვიუები, გზავნილები და ა.შ, რასაც დაეთმო თითქმის 6 წუთი, მაჩალიკაშვილის აქცია მხოლოდ მოიხსენიეს, რითაც დაირღვა ბალანსი.

შემდეგ სიუჟეტში „სააკაშვილის დავიწყებული წარსული“ (ავტორი - თამთა ჯანაძე), რომელიც ეძღვნებოდა მიხეილ სააკაშვილს, დარღვეული იყო ბალანსი. დროის გადანაწილება რესპონდენტებს შორის იყო აშკარად სააკაშვილის ოპონენტთა სასარგებლოდ. მომდევნო ორი სიუჟეტიც „ჩამორთმეული ქონება“ (ავტორი - ბელა ზაქაიძე) ფაქტობრივად ემსახურებოდა სააკაშვილის და ქვეცნობიერად „ნაცმოძრაობის“ სტიგმატიზაციას.

ამის მომდევნო სიუჟეტი „სიძულვილის ენა პოლიტიკაში“ (ავტორი - სოფო მთივლიშვილი) შედარებით დაბალანსებული იყო, შეიცავდა ექსპერტების მოსაზრებებს, ორივე საპრეზიდენტო კანდიდატის მიერ გაკეთებული დისკრიმინაციული განცხადებების, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლების და მათი ოპონენტების მიერ წარმოთქმული სტიგმატიზების და დისკრიმინაციის შემცველი განცხადებების განხილვას მოიცავდა. ორივე შემთხვევაში ჟურნალისტები არ ცდილობდნენ საკუთარი აზრები და დამოკიდებულებები ფაქტებად წარმოეჩინათ და ასე შეესაღებინათ აუდიტორიისთვის, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

25 ნოემბრის გადაცემის სიუჟეტში „ლუსტრაციის კანონი“ (ავტორი -სოფო ზედელაშვილი) ამბობს, რომ 1990 წელს ეროვნული მოძრაობის ლიდერები ასეულობით მომიტინგეებთან ერთად უშიშროების კომიტეტის შენობაში შეიჭრნენ, სადაც დოკუმენტების ნაწილი გაანადგურეს და იქაურობა დაარბიეს. ამით ხომ არ ხდება ეროვნული მოძრაობის ლიდერების ერთგვარი სტიგმატიზაცია. ჟურნალისტური სტანდარტი ითხოვს, რომ სიუჟეტის ავტორს მაშინდელი მოვლენების მონაწილე მოენახა და მასთანაც ჩაეწერა ინტერვიუ. არის ინტერვიუ კახა კუკავასთან, რომელიც ამბობს, რომ მის მიერ შემუშავებული ლუსტრაციის კანონპროექტი, ხელისუფლებამ ჩააგდო, ამავე დროს არ არის ინტერვიუ ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან იმ მიზეზებზე, რატომ არ იქნა მიღებული ლუსტრაციის კანონი.

სიუჟეტი სკოლებში ჰიგიენურ ნორმებზე იყო ძალიან აქტუალური და მით უფრო სამწუხაროა, რომ აკლდა სიღმისეულობა. მაგ. ჟურნალისტმა არ მოიკითხა ის კომპანიები, საიდანაც სკოლებში შემოაქვთ საკვები, არ არის კომენტარი სურსათის უვნებლობის დამოუკიდებელი ექსპერტისგან, ან თუნდაც სურსათის უვნებლობის სააგენტოსგან, რომელსაც უფრო მეტად ეხება ეს საკითხი, ვიდრე რესპონდენტად მოყვანილ განათლების მინისტრის მოადგილეს. რეპორტაჟში არ არის ახსნილი, რატომ არის ცალკეულ რესპონდენტთა სახეები დაფარული.

სიუჟეტში სახელმწიფოთაშორის დავებზე უპასუხოდ დარჩა კითხვა, რაც ყველაზე უფრო აინტერესებს ალბათ აუდიტორიას და თავად სიუჟეტის გმირებს, რატომ არის „ემპათიის“ სარჩელი სტრასბურგში ჯერ კიდევ განხილვის სტადიაში. გაუგებარი დარჩა რა საჭირო იყო უკრაინის თემის მიბმა სიუჟეტთან. ასევე არის აშკარა შეუსაბამობა, როცა ავტორი ამბობს, რომ სტრასბურგის სასამართლოში რუსეთის

წინააღმდეგ სარჩელების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, არადა ინფოგრაფიკაზე საპირისპირო სურათი ჩანს - 2018 წელს შეინიშნება კლება (52:22 წთ).

რეპორტაჟი პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის მზადებაზე იყო აშკარად მოსაწყენი, აკლდა დინამიურობა და გადატვირთული იყო ფორმალური დეტალებით.

სიუჟეტი „მშობლები სტიგმის წინააღმდეგ“ (ავტორი - სოფო ზედელაშვილი) ძირითადად ამ თემის გაშუქების სტანდარტების დაცვით იყო გაკეთებული. ჟურნალისტი ცდილობდა, ყურადღება გაემახვილებინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის, როგორც საზოგადოების სრულფასოვან და თანასწორ წევრზე, საუბრობდა მისი სოციალური ინტეგრაციის პრობლემებზე სტიგმატიზაციის გარეშე. თუმცა სიუჟეტში რატომღაც არ იყო ამ დარგის ექსპერტის ინტერვიუ.

თუმცა ზემოაღნიშნული ხარვეზების მიუხედავად, ზოგადად გადაცემაში დადებითი მომენტები სჭარბობს.

2 დეკემბერს ოპოზიციის აქცია, სხვა ტელევიზიების განგანსხვავებით, გადაცემამ სხვადასხვა რაკურსით გააშუქა, რითაც მაყურებელს საშუალება მიეცა, გაეგო აქციაზე დამსწრეთა რეალური რაოდენობა.

საინტერესო მიგნება იყო ახალგაზრდების აზრის გაგება არჩევნებთან და ქვეყნის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით და მაყურებლისთვის პოტენციური მომავალი პოლიტიკოსების ჩვენება. საინტერესო გამოვიდა სიუჟეტი „სახლი ეზოდან იწყება“ და კარგი იქნება, თუ გადაცემა გააგრძელებს მსგავსი ამბების მოძიებას სხვა ადგილებში. კარგი სიუჟეტი იყო „ლოს-ანჯელესიდან მარტვილამდე“, რომელიც ხელს უწყობს ერთაშორის ინტეგრაციას და ტოლერანტობის ცნობიერების გაღვივებას.

იყო მოლოდინი, რომ გადაცემა გააგრძელებდა წინა გადაცემებში წამოჭრილი აქტუალური თემებისათვის თვალყურის მიდევნებას. მაგალითად, 16 დეკემბრის გადაცემაში შესაძლებელი იყო განევრცოთ და ახალი დეტალებით გაემდიდრებინათ თემა ჰიგიენური ნორმები სკოლებში, რომელიც ძალიან ბევრ მოქალაქეს აწუხებს.

კარგია ტენდენციაა, რომ გადაცემაში სულ უფრო ინტენსიურად იყენებენ ინფოგრაფიკას, რაც სიუჟეტებს მატებს თვალსაჩინოებას და დამაჯერებლობას.

რეკომენდაციები

· გადაცემა ყოველკვირეულია და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია მისი ცოტა არ იყოს მშრალი ე.წ. „ქუდი“ ვიზუალურად უფრო მიმზიდველი და დინამიური გახდეს.

· შეიკვეცოს გადაცემის დასაწყისში წამყვანის საუბრის დრო სიუჟეტებზე და მათ თემებზე, მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა საავტოროა და უფრო მალე მოხდეს სიუჟეტების ჩვენება, რომ გადაცემამ მაყურებელი „დააკავოს“.

· წამყვანის თხრობიდან ამოღებულ იქნას აუდიტორიის დიდი ნაწილისათვის გაუგებარი კალკები/ბარბარიზმები (მაგ. „რიგიდულობა,“ „სუბსტანცია“ და ა.შ).

· წამყვანი არ იყოს სტატიკურ მდგომარეობაში, ერთი და იმავე სხეულის ენით და გადაცემა წაიყვანოს უფრო დინამიურ სტილში.

· სიუჟეტის გაშვებამდე სტუდიაში სიუჟეტის ავტორის მოწვევა და მასთან საუბარი, იმეორებს „რუსთავი 2“-ის სტილს. სასურველია გადაცემამ საკუთარი ხელწერა შეიმუშავოს ამ კუთხით. მაყურებელს ნაკლებად აინტერესებს სიუჟეტის ავტორის აზრი და მონათხრობი, მას უფრო სიუჟეტი აინტერესებს.

· გამომდინარე იქიდან, რომ ზოგიერთი სიუჟეტი იყო მონოტონური, თუმცა სტანდარტების დაცვით გაკეთებული, რეკომენდირებულია, რომ სიუჟეტის ავტორი ჟურნალისტების თხრობა და გადმოცემის მანერა იყოს უფრო ემოციური და საინტერესო, რესპონდენტებს დაუსვან ისეთი კითხვები, რომლებიც მომხდარის სრული სურათის მიღებაში დაეხმარება აუდიტორიას, იყოს უფრო მკვეთრი ვიზუალური ეფექტები.

· რეკომენდებულია, რომ გადაცემის პირველ ბლოკში მოხდეს ადგილობრივი ამბების ამოწურვა, მეორე ბლოკში საერთაშორისო ამბები და ბოლო დამაგვირგვინებელ ბლოკში ისტორიული რეტროსპექტივა.

· კარგი იქნება, თუ წინა გადაცემებში წამოჭრილ განსაკუთრებით მწვავე და აქტუალურ თემებზე თვალყურის მიდევნება ხდებოდეს და მომდევნო გადაცემებში მოხდეს გარკვევა, რა შეიცვალა, რა რეაგირება მოხდა და ა.შ.

· 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი ვალდებულებაა ჟურნალისტური გამოძიება, შესაბამისად, კარგი იქნება თუ ამ გადაცემაში ორგანულად ჩაეწერება თავდაპირველად მინი ჟურნალისტური გამოძიებები, ხოლო შემდეგ სრულფასოვანი ჟურნალისტური გამოძიება.

„მოამზე - დღის თემა“ - თამთა სანიკიძე

შეფასების პერიოდში გადაცემაში გაშუქებული იყო პრაქტიკულად ყველა აქტუალური საკითხი, რომელსაც ჰქონდა ფართო რეზონანსი საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში. ევროატლანტიკურ თემატიკაზე გადაცემის არარსებობა შეიძლება აიხსნას იმით, რომ ეს თემა გადაფარა ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემებმა, რომლებსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი უბრალოდ გვერდს ვერ აუვლიდა. მოწვეული სტუმრები, მცირე გამონაკლისის გარდა, სწორად იყვნენ შერჩეული და შეესაბამებოდნენ გადაცემის თემატიკას. გადაცემის წამყვანი თამთა სანიკიძე კარგად არის მომზადებული, კარგად ფლობს გადაცემის თემას, კითხვებს იძლევა მკაფიოდ, არ იყურება „შპარგალკებში“, ასევე არ აწყვეტინებს გამოსვლას რესპონდენტს (რითაც ასე სცოდავენ სხვა ტოქშოუების წამყვანები). ამავე დროს, არსებობდა გადაცემის დაბალანსებისა და წამყვანის ნეიტრალიტეტის პრობლემა. კონკრეტული მაგალითები:

გადაცემა „ოპოზიციის ულტიმატუმი“ (03.12.2018) ოპოზიციის წარმომადგენლისთვის წამყვანის კითხვა: „რამდენად ადეკვატურია თქვენი მხრიდან არჩევნების ბათილად გამოცხადების და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა?“ ავლენს წამყვანისა და შესაბამისად, ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკის მიმართულებას და დამოკიდებულებას სუბიექტებისადმი. ირღვევა ნეიტრალიტეტის პრინციპი. კითხვა უფრო ნეიტრალური კონოტაციით: „რატომ ითხოვთ არჩევნების ბათილად გამოცხადებას და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს?“ რესპონდენტს საშუალებას მისცემდა პოზიცია გამოეხატა და უკვე აუდიტორია შეაფასებდა მას. იგივე შენიშვნა ეხება მეორე კითხვას: „მორალურად რამდენად გამართლებულია ასეთი საუბარი ამომრჩეველზე. გამოდის, რომ ყველამ, ვინც ზურაბიშვილს ხმა მისცა, ხახვზე და კარტოფილზე გაიყიდა". აქაც კითხვა უკვე შეიცავს წამყვანის პირად შეფასებას. თუ კითხვიდან ამოვიღებთ სიტყვა „მორალურს", მას მიეცემა უფრო ნეიტრალური ხასიათი. ასევე ხშირად ხდებოდა პედალირება სიტყვაზე „ულტიმატუმი“, სავარაუდოდ ოპოზიციის მიმართ ნეგატიური განწყობების შესაქმნელად.

გადაცემა „ოპოზიციური კოალიცია“ (05.12.2018) დაიწყო ფრაზით „კონსულტაციები დასრულდა - გრიგოლ ვაშაძის გარშემო გაერთიანებული ოპოზიცია....“ ეს იყო აუდიტორიის შეცდომაში შემყვანი ფაქტობრივი უზუსტობა, რადგანაც ოპოზიცია არ გაერთიანებულა უშუალოდ ვაშაძის გარშემო, ისინი გაერთიანდნენ კონკრეტული თემის - არჩევნების გარშემო, რაზედაც შემდგომ მონაკვეთში თავად რესპონდენტები საუბრობენ (00:21 წთ). მიუხედავად ამისა, წამყვანმა კიდევ ერთხელ გაიმეორა ფრაზა, რომ ოპოზიცია გრიგოლ ვაშაძის გარშემო გაერთიანდა, ხოლო არასაპარლამენტო

ოპოზიცია „ნაცმოძრაობის“ გვერდით დაჯდა. ეს ტოვებდა განცდას, რომ ამით გადაცემა ამ ოპოზიციური პარტიების სტიგმატიზაციას ცდილობდა.

გადაცემაში „9-დღიანი კანონი“, რომელიც ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მიწების უცხოელებზე გასხვისების ნებართვას, სტუმრები იყვნენ საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია და ხელისუფლებიდან ოთარ დანელია – აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე. რაკი საკითხის აქტუალობა საზოგადოების ფართო ფენებს მოიცავდა, ალბათ მიზანშეწონილი იქნებოდა მოწვეულ სტუმრებს შორის ყოფილიყვნენ საზოგადოების და პოლიტიკური პარტიების ის წარმომადგენლებიც, რომლებიც ემხრობიან მიწების გასხვისებას და შესაბამისად, გადაცემაც უფრო დაბალანსებული, პლურალისტული და საინტერესოც გამოვიდოდა, მით უმეტეს, გადაცემაში ითქვა, რომ არსებობენ პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ემხრობიან მიწის უცხოელებზე გასხვისებას, შესაბამისად, აზრთა სრული მრავალფეროვნებისთვის მათთვისაც უნდა დაეთმოთ ეთერი.

გადაცემაში „დაპირისპირება პარლამენტში“ (12.12.2018) ბალანსი არ იყო დაცული, იყო დაპირისპირების ერთი მხარე „პატრიოტთა ალიანსი“, მაგრამ არ იყო მეორე მხარე „ნაცმოძრაობა,“ რომელმაც მოწვევის მიუხედავად გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და ამაზე წამყვანმა აცნობა აუდიტორიას. გაუგებარი იყო „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის მოწვევა, პარტიის, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობდა კონფლიქტში. გაცილებით უპრიანი იქნებოდა მოეწვია მაგ. „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი, როგორც მეორე მხარე.
თუმცა წამყვანმა კარგად გაართვა თავი „პატრიოტთა ალიანსის“ საკმაოდ რთულ რესპონდენტთან საუბარს. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვიერი შეხლა-შემოხლის გამო იყო შეპასუხების ცდუნება, წამყვანი არ გასცდა პროფესიული ეთიკის ჩარჩოებს. თუმცა ამ გადაცემაში ისევ და ისევ დაირღვა ნეიტრალიტეტის პრინციპი. კითხვის კონტექსტი: „ელოდება თუ არა ინაუგურაციისას მმართველი გუნდი ოპონენტების მხრიდან რაიმე პროვოკაციას“ (22:22 წთ) ეჭვის ქვეშ აყენებს ჟურნალისტის ნეიტრალურობას. წამყვანს შეეძლო დაესვა ნეიტრალური კითხვა: „რას ელოდება მმართველი გუნდი ოპონენტებისგან ინაუგურაციის დროს?“ და რესპონდენტისთვის დაეტოვებინა შეფასება. შეფასებულ გადაცემებში, სამწუხაროდ, მოწვეულ სტუმრებს შორის აშკარად დარღვეული იყო გენდერული ბალანსი.

რეკომენდებულია, რომ წამყვანის მიერ დასმული კითხვები და კომენტარები არ ტოვებდნენ მიკერძოებულობის შთაბეჭდილებას და დაცული იყოს ნეიტრალიტეტი, ასევე შეძლებისდაგვარად აღდგენილ იქნას გენდერული ბალანსი მოწვეულ სტუმრებს შორის. კარგი იქნება, თუ წამყვანი შეცვლის მის სტატიკურ მიმიკას და მკაცრად კონსერვატიულ სხეულის ენას და გადაცემას უფრო ლაღ და დინამიურ სტილში წაიყვანს.

„საპრეზიდენტო არჩევნები 2018“

გადაცემის ინტერიერი, ფორმატი და წამყვანის ცოტა არ იყოს დუნე სხეულის ენა, ხელში ფურცელი და მასში პერიოდული ჩახედვა, ასევე გადაცემის ზედმეტად კონსერვატიული, აკადემიური სტილი და გარკვეულწილად კამერულობა, სავარაუდოდ არ განაპირობებდა მისი ყურებადობის მაღალ მაჩვენებელს.

უკეთესი იქნებოდა, თუ წამყვანის, მოწვეული ექსპერტების და სტუმრების მსჯელობის პარალელურად გადაცემა გაჯერებული იქნებოდა ვიზუალური მასალით, ინფოგრაფიკით კანდიდატების შესახებ, რომელიც მას უფრო დინამიურს და შესაბამისად, ყურებადს გახდიდა.

სასურველი იქნებოდა, რომ გადაცემის კომენტატორებად/ექსპერტებად არა ერთი და იგივე შემადგენლობა, არამედ სხვადასხვა ხალხი მოეწვიათ, რაც გადაცემას უფრო საინტერესოს და ყურებადს გახდიდა.

შეფასების პერიოდში გადაცემაში მოწვეულ სტუმრებს შორის დაცული იყო გენდერული ბალანსი, თუმცა რაც შეეხება პოლიტიკურ ბალანსს, აქ უმნიშვნელო უპირატესობა ჰქონდათ ხელისუფლების მომხრეებს. ალბათ სასურველი იყო სტუმრებს შორის არ ყოფილიყვნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრები, მაგრამ თუ მაინც გადაწყვეტილი იყო მათი მოწვევა, ყოფილიყო დაცული ბალანსი მათი პოზიციებიდან და აფილაციიდან გამომდინარე.

მაგალითად, 21 ნოემბრის გადაცემაში ბალანსი დაირღვა და გადაცემა გადაიქცა „გაერთიანებული ოპოზიციისა“ და მისი კანდიდატის კრიტიკის არენად, ინტენსიურად განიხილებოდა ე.წ. „კასრების ამბავი“ და ა.შ. და მეორე მხარეს მოპასუხე არ ჩანდა. ბალანსის დასაცავად ალბათ შესაძლებელი იყო თუნდაც სატელეფონო ჩართვის ორგანიზება, რომ მეორე მხარესაც ჰქონოდა აზრის დაფიქსირების საშუალება. გადაცემაში მონაწილე ექსპერტებმაც ვერ შეძლეს გადაცემის კონტენტის დაბალანსება. გადაცემებიდან აუდიტორიას შესაძლოა დარჩენოდა განცდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკურ მიკერძოებაზე.

15 ნოემბრის გადაცემაში (სტუმრები: ბექა ძამაშვილი, ლევან დავითაშვილი) თემები იყო აგვისტოს ომის გამოძიება და ხელისუფლების გეგმები სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ეს ორი თემა არავითარ ლოგიკურ ბმაში არ იყო ერთმანეთთან და შორს იყო საარჩევნო თემისგან.

17 ნოემბერს, მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის თემა იყო საპრეზიდენტო არჩევნები, მსჯელობა გასცდა არჩევნებს და გადავიდა ისეთ ზოგად თემებზე (სკოლა

და სასკოლო განათლება), რომლებიც მხოლოდ ირიბად ან საერთოდ არ უკავშირდებოდა არჩევნებს.

თუმცა, მთლიანობაში გადაცემებში არ ყოფილა ჟურნალისტური და საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტების გამოხატული დარღვევა და კანდიდატების გაშუქებისას ბალანსი მეტნაკლებად დაცული იყო.

აქ შეგნებულად არ ვეხებით ეუთოს შეფასებას საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ არჩევნების გაშუქების შესახებ https://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/404678?download=true რადგანაც ეს სცდება ტექნიკური საექსპერტო დავალების ფარგლებს.

„რეალური სივრცე“ - ნინო ზაუტაშვილი

აღნიშნული გადაცემა კარგი ინდიკატორია იმისა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტოქშოუს წამყვანის ფაქტორს, მისი სხეულის ენას (მათ შორის ვერბალურს), რომლითაც ის გადმოსცემს აზრებს, გრძნობებს და ემოციებს, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ვიზუალურ ეფექტს ტელეკრანზე და ახდენენ გავლენას აუდიტორიაზე. ამ კუთხით, „რეალურ სივრცეს“ ნამდვილად აქვს უპირატესობა სხვა ტოქშოუებთან შედარებით. გადაცემაში კარგად ხდება დროის მენეჯმენტიც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველას მიეცეს საკუთარი აზრის სრულად გამოთქმის საშუალება. გადაცემის წამყვანი არ ერიდება კრიტიკულ შეფასებებს ხელისუფლების მიმართ, რომლებიც მეტწილად დასაბუთებულია.

გადაცემაში „არჩევნების წინ - მთავარი ხალხია“ დადებითი მომენტი იყო დისკუსიის წინ კანდიდატების სოციალურ პროგრამებზე ვიდეოსიუჟეტის ჩვენება, რომელმაც გადაცემა უფრო დინამიური და ინფორმატიული გახადა. ვიდეოსიუჟეტში სახელისუფლებო კანდიდატს ოდნავ მეტი დრო დაეთმო. დადებითი იყო შშმ ქალების პრობლემატიკის წამოწევა და გენდერული მეინსტრიმინგის გათვალისწინება, ასევე ემიგრანტების ჩართვა, რომლებსაც ძალიან იშვიათად აქვთ წვდომა ფართო აუდიტორიასთან საქართველოში.

გადაცემა „ახალი თაობა ცვლილებებზე“ (1.12.2018) ძალიან აქტუალურ თემაზე იყო და კარგი მიგნება იყო მისი გამართვა არჩევნების შემდეგ, რათა აუდიტორიისათვის ეჩვენებინა სწორედ ახალი თაობის დამოკიდებულება არჩევნებისადმის და ქვეყნის მომავლისადმი. ასევე კარგი იდეა იყო ემიგრაციაში წასული ახალგაზრდის ჩართვა საბერძნეთიდან. გადაცემაში დაცული იყო ბალანსი მოწვეულ სტუმრებს შორის. თუმცა შუაგულიდან გადაცემამ ცოტა არ იყოს ქაოტური ხასიათი მიიღო, გადაიზარდა ზედმეტ თეორიაში და ერთგვარად ფოკუსი დაკარგა იმ კუთხით, რომ საზოგადოებამ ვერ გაიგო ახალი თაობა რა ალტერნატივას სთავაზობს. შესაბამისად, ნაკლებად საინტერესო გახდა. წამყვანს უნდა დაეჭირა

გადაცემის მთავარი ფოკუსი და კითხვებიც ისე დაესვა, რომ მთავარ ხაზს არ გადასცდენოდა.

17 ნოემბრის გადაცემაში, რომელიც ჭარბვალიანობას ეძღვნებოდა, კარგი იქნებოდა ყოფილიყო რამდენიმე ადამიანი, ვინც ჭარბვალიანობის გამო დაზარალდა და მათ საკუთარი ისტორიები მოეყოლათ, ან 1-2 რეპორტაჟი გაკეთებულიყო მათზე, რომ ადამიანური ისტორიები მოესმინა აუდიტორიას. გადაცემის დრო საკმარისი იქნებოდა ამისთვისაც და შემდეგ უკვე ტოქშოუს ფორმატში გადასვლისთვის და დისკუსიისთვის. დასასრულს წამყვანმა აუდიტორიას მოუწოდა მათ ვებგვერდზე მიეწერათ კითხვები, მაგრამ არ დაასახელა ვებგვერდის მისამართი.

სხვა მხრივ, გადაცემა აკმაყოფილებდა შეფასების კრიტერიუმებს.

15 დეკემბრის გადაცემა "მთისთვის დახარჯული ფული და მისი შედეგები" პრაქტიკულად ყველა კომპონენტში აკმაყოფილებდა შეფასების კრიტერიუმებს. წამყვანი მომზადებული იყო და თემის ირგვლივ კვალიფიციურად იძლეოდა კითხვებს, თუმცა სასურველი იყო, რომ წამყვანს მოეყვანა კონკრეტული მონაცემები და რესპონდენტები უფრო დეტალურ მსჯელობაზე გამოეწვია.

გადაცემამ გამოხატვის შესაძლებლობა მისცა მთის მოსახლეობის იმ ჯგუფებს, რომელთა ხმა პრაქტიკულად არ ისმის მედიაში და შესაძლებელი გახადა წარმოჩენილი ყოფილიყო მთის ნაკლებად ათვისებული ადგილების პოტენციალი.

რაც მთავარია, გადაცემაში აქტიურად ისმოდა კრიტიკული აზრი, ეს გარკვეულწილად წამყვანის დამსახურებაც არის და მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს. ასევე დაბალანსებული იყო მოწვეული სტუმრების შემადგენლობა, რომელიც იძლეოდა აზრთა მრავალფეროვნების წარმოჩენას. დაცული იყო გენდერული ბალანსი.

გადაცემაში ,,კიბო არ არის სასიკვდილო განაჩენი" დამაინტრიგებელი სათაური მაყურებლის მოზიდვის საშუალება უნდა ყოფილიყო. გადაცემაში საუბარია კიბოს მკურნალობის შესახებ ფილმზე, რომელიც ერთ-ერთმა მონაწილემ გადაიღო და ის თავად იყო პაციენტი. წამყვანი ამბობდა, რომ ფილმმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ არ დაასახელა ფილმის სახელწოდება და შესაბამისად, აუდიტორიის ინტერესი დაუკმაყოფილებელი დარჩებოდა. ჯანმრთელობის საკითხებზე არასრული ინფორმაციის გავრცელებას ზოგჯერ მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე სარგებლის. გადაცემის პოზიტივი იყო ის, და ეს შეესაბამება საზოგადოებრივი მაუწყებლის დანიშნულებას, რომ გახსნას სადისკუსიო ფორუმი ამ საკითხზე და საზოგადოებაში გააჩინოს ამ საკითხზე, როგორც მინიმუმ აქტიური მსჯელობის მოტივაცია. გამომდინარე იქიდან, რომ გადაცემამ შეძლებისდაგვარად მოიცვა კიბოს მართვის შესახებ ყველა ინფორმაცია, ის გარკვეულწილად გაზრდიდა

როგორც ფართო აუდიტორიის, ასევე კიბოს მატარებელი მაყურებლის ინფორმირებულობას. კარგი იქნებოდა დისკუსიის პარალელურად ეკრანზე მოეყვანათ სტატისტიკა, ინფოგრაფიკის სახით ეჩვენებინათ ის, რაც დაკავშირებულია კიბოს მკურნალობის და ლეტალობის მაჩვენებელთან.

დასკვნა

შეფასებიდან გამოჩნდა, რომ პირველი არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საინფორმაციო გადაცემები ძირითადად შეესაბამება ჟურნალისტურ სტანდარტებს. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ 2018 წლის განმავლობაში ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში საზოგადოებრივ მაუწყებელზე მხოლოდ ორი განაცხადი შევიდა და ისიც მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

ვინაიდან ხელმიუწვდომელია ინფორმაცია თითოეული გადაცემის რეიტინგულობის შესახებ, მხოლოდ ვარაუდის და შემოთავაზებული კრიტერიუმების დონეზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რამდენად ყურებადია ესა თუ ის გადაცემა.

უნდა ითქვას, რომ 2017 წელს მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემების ხარისხი გარკვეულწილად გაუმჯობესდა. თუმცა, 2018 წელს ეს პროგრესი ერთგვარად შენელდა და მაღალი ალბათობით ამის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ გარკვეული პოლიტიკური ფაქტორები (მაგ. არჩევნები), რომლებიც შესაძლოა ზეგავლენას ახდენდა სარედაქციო პოლიტიკაზე.

თუმცა შეფასება აჩვენებს, რომ მოვლენათა გაშუქებისას პოლიტიკურ ტენდენციურობას და მიკერძოებულობას არ ჰქონდა ენდემური ხასიათი და წარმოდგენილი იყო ცალკეული გამოვლინებებით, რომლებიც, ბუნებრივია, უნდა აღმოიფხვრას.

სერიოზულ სამუშაოს მოითხოვს ჟურნალისტების პროფესიონალიზმი და ეს ეხება როგორც სტუდიაში, ასევე „ველზე“ მომუშავე ჟურნალისტებს. მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია გარკვეულწილად გაუმჯობესდა, კვლავ პრობლემად რჩება, რომ ჟურნალისტმა თუ წამყვანმა მკაფიოდ გამიჯნონ საკუთარი სუბიექტური შეფასება და ფაქტი, ხოლო ინფორმაცია გადაიცეს მხოლოდ დადასტურებული და სანდო წყაროსგან მოწოდებული ფაქტებით. მოვლენათა გაშუქებისას ფაქტები არ უნდა იყოს კონიუნქტურას მორგებული.

მიუხედავად იმისა, რომ რეპორტაჟებში იგრძნობა გარკვეული ტექნიკური გაუმჯობესება, კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა ინერგებოდეს ახალი ტექნოლოგიები და უმჯობესდებოდეს ჟურნალისტური ჯგუფების ტექნიკური აღჭურვილობა. მწირი ტექნიკური აღჭურვილობა ეტყობა სიუჟეტების ხარისხს.

რეპორტაჟებში საჭიროა მეტი კრეატიულობა და დინამიზმი. გადაცემების და სიუჟეტების მომზადებისას მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს და სხვა ტელევიზიებისგან განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს, არ უნდა იყოს დოგმატურად გაგებული და გადატანილი პრაქტიკაში, ვინაიდან ეს შეიძლება აისახოს პირველი არხის გადაცემების ყურებადობის ხარისხზე.

ბადეში ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების შემოტანით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადადგა გარკვეული ნაბიჯები იმ პროგრამული პრიორიტეტის შესასრულებლად, რომ ის გახდეს საქართველოს მოსახლეობისათვის მთავარი სადისკუსიო სივრცე. თუმცა, შედეგობრივად და თვისობრივად ჯერჯერობით ამის მიღწევამდე საკმაოდ შორია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018-2021 წლების პროგრამულ პრიორიტეტებში განსაზღვრული იყო, რომ მაუწყებელი „ავითარებს და ამკვიდრებს საკუთარ მიდგომებს და მომსახურების მაღალ სტანდარტებს.“ თუ შეფასებული გადაცემების ხარისხით ვიმსჯელებთ, 2018 წელს ამ მიმართულებით ძალიან ცოტა რამ გაკეთდა. გადაცემებში ძალიან მწირია ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის განკუთვნილი ხარისხიანი პროდუქცია. ასევე მეტი სიუჟეტის მომზადებაა საჭირო სხვადასხვა მოწყვლად და დაუცველ ჯგუფებზე და ამ კუთხით შეიძლება ინტენსიურად გავიზიაროთ საერთაშორისო გამოცდილება. შესაძლოა რამდენიმე ჟურნალისტი გამოიყოს, ჩაუტარდეთ სათანადო ტრენინგები და უშუალოდ ამ თემატიკაზე მუშაობდნენ. საერთოდ, კარგი იქნება თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი იფიქრებს ჟურნალისტების თემატურ და პროფილურ ორიენტირებაზე, რაც ხელს შეუწყობს უფრო პროფესიული და სიღრმისეული რეპორტაჟების და მედიაპროდუქტის მომზადებას.